



ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 260  
---

17 აგვისტო  
“ --- ” ----- 2018 ♡

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №1-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.10.14.012.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Green Way“-სთვის (ს/ნ: 425052444) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.14.012.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Green Way“-სთვის (ს/კ 425052444) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 აგვისტოს №18.625.953 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №1-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.10.14.012.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Green Way“-სთვის (ს/ნ: 425052444) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე